

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის
ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.gnta.ge)
საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის
შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 22 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის
ეროვნული სააგენტო


www.gnta.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით



■ www.gnta.ge
გამჭვირვალობის
ხარისხი



საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი ფაქსისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი ფაქსისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, სააგენტოს თავმჯდომარის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ კი მისი სახელი, გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“, სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „თავმჯდომარე“, სადაც აგრეთვე, განთავსდებოდა სააგენტოს თავმჯდომარის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია:

სტრუქტურა

ჩვენს შესახებ > სტრუქტურა >



მაია სიდამონიძე (CV)
სააგენტოს თავმჯდომარე
m.sidamonidze@gnta.ge

მარიამ კერესელიძე – თავმჯდომარის ასისტენტი
m.kereselidze@gnta.ge

თამთა თამაზაშვილი – საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი
t.tamazashvili@gnta.ge


2. სააგენტოს სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო“, ხოლო, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

საქართველოს ტურიზმის
ეროვნული სააგენტო

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



ამასთან, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე განთავსებული საკონტაქტო ინფორმაციის აღმნიშვნელი გვერდის აღმნიშვნელი ღილაკი ძალზედ მცირეა, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ, სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს განცალკევებული განყოფილება სათაურად „საკონტაქტო ინფორმაცია“, „კონტაქტი“ ან „დაგვიკავშირდით“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია:



5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასახელება და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სისტემის სტრუქტურულ ხე ან ინფორმაციული აღწერა;
- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე მათი საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების ძირითადი ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების უფროსების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე მათი სამუშაო ელექტრონული ფოსტები და ფაქსის ნომრები;

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები“ მოცემულია ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების სახელები, გვარები და აგრეთვე, მათი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს თუ რა პოზიციები უკავიათ აღნიშნულ პირებს:

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები	
ჩვენს შესახებ > ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები >	
თბილისი	
თავისუფლების მოედანი ქ. 2	
ოფისი	436767
ელ-ფოსტა	georgia@tourism.gov.ge
ბათუმი	
რუსთაველის პრ. #30	877 909093
ზღვისპირა პარკის ცენტრ. შესასვლელი	877 909091
მცხეთა	
არსუკიმეს ქ.3	
ოფისი	512128
ლალი რევია	895 568087
თელავი	
ერეკლე II -ს ქ.9	
ოფისი	8 250 75317
მერი მახათელაშვილი	877 409300
ირინა კოტორაშვილი	895 380925
სიღნაღი	
კოსტავას ქ.10	
ოფისი	8 255 32414
თეა ჯაფარიშვილი	895 225651

ამასთან, სააგენტოს შემდეგი ტერიტორიული ორგანოების - ყვარლისა და დაბა მესტიის შემთხვევაში ზემოხსენებული ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი

ყვარული

რუსთაველის 9

დაბა მესტია

სეთის 7

- არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;
- არ მოიძიება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და ფაქსის ნომრები. მოცემულია მხოლოდ ერთადერთი ტერიტორიული ორგანოს - თბილისში არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები

ჩვენს შესახებ > ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები >

თბილისი

თავისუფლების მოედანი ქ. 2

ოფისი

436767

ელ-ფოსტა

georgia@tourism.gov.ge

ბათუმი

რუსთაველის პრ. #30

877 909093

ზღვისპირა პარკის ცენტრ. შესასვლელი

877 909091

მცხეთა

არსუკიმეს ქ.3

ოფისი

512128

ლალი რევია

895 568087

აგრეთვე, სააგენტოს შემდეგი ტერიტორიული ორგანოების: ბათუმის, ყვარლისა და დაბა მესტიის შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი მათი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ბათუმი

რუსთაველის პრ. #30

ზღვისპირა პარკის ცენტრ. შესასვლელი

877 909093

877 909091

სააგენტოსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს, აგრეთვე, წარმოადგენს ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შენობაში არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ ვებ-გვერდზე არანაირი სახის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-) განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, პროგრამები, , სააგენტოს სამოქმედო გეგმები, პროგნოზები და პრიორიტეტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

ვებ-გვერდზე არ მოძიება მარკეტინგის განყოფილების მიერ შემუშავებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხები. სასურველია ვებ-გვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსდეს აგრეთვე, რეგიონში არსებული ტურისტული ობიექტების მონაცემთა ბაზები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ნორმატიული აქტები“ განთავსებული პირველი სამართლებრივი აქტი არ იხსნება:

ჩვენს შესახებ	ტურისტული ასოციაციები	პროექტები	კანონმდებლობა
ნორმატიული აქტები			- ტურიზმის კანონი - ნორმატიული აქტები - საერთაშორისო აქტები

კანონმდებლობა > ნორმატიული აქტები >

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 655 2005 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ

☐ საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ

☐ ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 968 (2005 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი) საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ

- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, აგრეთვე, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

სიახლეები და ღონისძიებები

მედია ცენტრი > სიახლეები და ღონისძიებები >

საქართველოს ეროვნული დღე მანხაიმი

28-ოქტომბერი-2010 17:51:54

ა.წ. 28 ოქტომბერს ჩინეთში, ქ. მანხაიმი მსოფლიო გამოფენა World Expo 2010 ფარგლებში ჩატარდა საქართველოს ეროვნული დღე.

საქართველოდან გაემგზავრა ოფიციალური დელეგაცია პრემიერ მინისტრის, ბ-ნ ნიკოლოზ გილაურის მეთაურობით. პრემიერ მინისტრს თან ახლდნენ ევროპასთან და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მინისტრი ბ-ნი გიორგი ბარამიძე, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი კახა ბაინდურაშვილი, პრემიერ მინისტრის უფროსი მრჩეველი ქ-ნი თამარ კოვზირიძე და სხვები.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, თავმჯდომარის ქ-ნი მაია სიდამონიძის მეთაურობით.

ქართულ დელეგაციას დახვდნენ ჩინეთის ოფიციალური პირები საგარეო საქმეთა სამინისტროდან და სხვა სახელმწიფო უწყებებიდან.

ოფიციალური ცერემონია დაიწყო დილის 10 საათზე. მოხდა სუვენირების გაცვლა, საპატიო სტუმრების სიტყვით გამოსვლა, შეხვედრა პრესასთან, სხვა და სხვა ქვეყნების პავილიონების დათვალიერება. საზეიმო ღონისძიება დასრულდა საქართველოს დღისადმი მიძღვნილი კონცერტით ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ "რუსთავის" მონაწილეობით და ოფიციალური მიღებით 21:00 საათზე.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე)-განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათი შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროგრამებისა და პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/turizmi_proeqtebi0001.pdf;

13. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „პროექტები“, თუმცა სასურველია აქვე განთავსდეს მათი შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებულია ძალზედ მწირი რაოდენობის სამართლებრივი აქტები. ამასთან, მოცემულ განყოფილებაში არსებულ ქვე-განყოფილებაში „ნორმატიული აქტები“ განთავსებული მეორე სამართლებრივი აქტი, კერძოდ, საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ - მოცემულია ძველი მდგომარეობით:

ნორმატიული აქტები

კანონმდებლობა > ნორმატიული აქტები >

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 655 2005 წლის 22 ივლისის ქ. თბილისი საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების წესების შესახებ

☐ საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ

☐ ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 968 (2005 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი) საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ

მოდველებულია აგრეთვე, განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება # 1-1/1564: საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.“ აგრეთვე, მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული მეორე და მესამე სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ერთი და იგივე სამართლებრივ აქტს, კერძოდ კი, ორივე არის საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“:

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 655 2005 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების წესის შესახებ

☐ საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ

☐ ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ

☐ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 968 (2005 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი) საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთვსდეს, აგრეთვე, სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს შინაგანაწესი. აღნიშნული სამართლებრივი აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართავთა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/turizm_shesvidvebi.pdf).*

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:


- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასაღების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/turizmi_budget0001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/turizmi_xelfasebi0001.pdf);
- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:

ტექნიკური პარამეტრების გამართულობა და არსებობა
ოფიციალურ ვებ-გვერდზე



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ ძიება

ვებ-გვერდის ძიების მოდულში არ არის განსაზღვრული ქართული ფონტით მუშაობა, მასში სტანდარტულად გაწერილია მხოლოდ ლათინური ფონტი:



ძიების მოდულად გამოყენებულია GOOGLE-ის სისტემა, რაც არ არის რეკომენდებული. ძიების მოდული აუცილებლად უნდა იყოს ყველა ვებ-გვერდისთვის უნიკალური და მისი ალგორითმი უნდა უზრუნველყოფდეს ძიების შედეგების მაღალ ხარისხს:




ამ შემთხვევაში კი GOOGLE-ის სისტემა გვაძლევს მხოლოდ იმ შედეგებს, რაც უკვე დაინდექსებულია. ვებ-გვერდზე, ახალი გვერდის დამატების შემთხვევაში GOOGLE-ის სისტემამ ჯერ უნდა აითვისოს, ანუ დაინდექსოს ახალი გვერდის და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ეს გვერდი მოძიებადი;

ძიების ღილაკი არ ფუნქციონირებს:




ძიების განხორციელება შეგვიძლია მხოლოდ ENTER-ის ღილაკის გამოყენებით, რაც ყველა მომხმარებელმა არ იცის;

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში ძიების მოდულის გამოყენების შემდეგ, მოხმარებელი ინაცვლებს ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში:



➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის ტექსტებს აკლიათ სურათები, რის გამოც გვერდი გარკვეულწილად კარგავს ხიბლს:



ვებ-გვერდზე ზოგიერთ განყოფილებაში დარღვეულია სტრუქტურა. აუცილებელია ასეთი ხარვეზების აღმოფხვრა, სურათი და თარიღი არ უნდა კვეთდნენ ერთმანეთს:



ვებ-გვერდზე მუშაობს მოდული, რომელიც მომხმარებელს ატყობინებს თუ რა გვერდზე იმყოფება, თუმცა ამ შემთხვევაში ამ მოდულის ტექსტი დაფორმატებულია ისე როგორც ჩვეულებრივი ტექსტი, ამის გამო რთულია მისი შემჩნევა:



➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმის Captcha, ანუ უსაფრთხოების კოდის, არასწორად შევსების შემდეგ, ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში გამოდის ინგლისური წარწერა არასწორი ფორმით:

კონტაქტი

კონტაქტი >

თბილისი 0105
თავისუფლების მოედანი 2
ტელეფონი 43 6797
ფაქსი 43 6087
email: georgia@tourism.gov.ge

Wrong kaptcha code

სახელი

faf

თქვენი E-mail


fwafw@mail.ru

წერილის ტექსტი

fafawf


➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, შემდეგი ღილაკებიდან არც ერთი არ ფუნქციონირებს:



➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის GET ცვლადები არ იფილტრება და შესაბამისად ამ ხარვეზის ბოროტად გამოყენება შეუძლია ვებ-პროგრამისტს:



კვლევაში ჩვენ დეტალურად არ დავწერთ თუ რა ხარვეზია ეს და სად არის დაშვებული შეცდომა, თუმცა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით შესაბამის ანალიზს ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრის მიზნით;